Georgian Scientists
ქართველი მეცნიერები
Vol. 8 Issue 2, 2026
https://doi.org/10.52340/gs.2026.08.02.27

მეცხოველეობის ისტორია საქართველოში - სათავეები, ჩამოყალიბება, განვითარება პრეისტორიიდან თანამედროვეობამდე

კობა მიქაძე[1]; მაია კერესელიძე[2]; რუსუდან ურიდია[3]; შოთა ნებიერიძე[4]; მარიკა ბოკუჩავა[5]

[1]შპს ევროპის უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი, mikadze.koba@eu.edu.ge; [2]შპს ევროპის უნივერსიტეტი, პროფესორი, maia.kereselidze@eu.edu.ge, (+995) 591 195 115; [3]შპს ევროპის უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი, rusudan.uridia@eu.edu.ge orcid ID: 0009-0002-0685-2813; [4]შპს ევროპის უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი, nebieridze.shota@eu.edu.ge; [5]შპს ევროპის უნივერსიტეტი, ასისტენტ პროფესორი, marika.bokuchava@eu.edu.ge

რეზიუმე

მეცხოველეობა ქარველი ხალხის საქმიანობის უძველესი დარგია. ჩვენი წინაპარი ცხოველებს უხსოვარი დროიდან აშინაურებდა და უვლიდა. ეს ფაქტები პალეოლითიდან გვხდება, აქედანვე ისახება პირველყოფილი მეურნეობრიობის ფორმა მოშინაურების ფაქტებით. აღნიშნული დასტურდება არქეოლოგიური მასალებით როგორიცაა: გვარჯილის კლდეში, საკაჟიაში, დევისხვრელში და სხვაგან ნაპოვნი ცხოველების ძვლები, მისგან დამზადებული სხვადასხვა ნივთები, რქისა და ძვლის იარაღები.ნეოლითიდან აღმოჩენილია ტყავეულის დასამუშავებული იარაღები. ისახება მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, ჩნდება სოფლის ტიპის დასახლება. მოსახლეობა ცხოველს იყენებს გამწევ ძალად და აიოლებს მიწის დამუშავებას. ფაქტებია წალკასა და სხვაგან მიკვლეული ურმის ნაშთი, საგორავები. ცხოველებით - ხარისთავებიანი ფიგურებით ირთვებოდა საკულტო ნაგებობანი, ხოვლეში საკურთხევლის სვეტის თავები და ა.შ. მერძეული მესაქონლეობის განვითარებას ადასტურებს არტეფაქტებში რძის შესანახი ჭურჭლის სიუხვე და ნაირსახეობა, სადღვებელი და სხვა. ძვ.წ.ა. VI-IV ათასწლ. საცხოვრებელი კომპლექსი შედგებოდა ძირითადი საცხოვრისისა და სამეურნეო ნაგებობებისაგან, რაც მიგვანიშნებს საქონლის სიმრავლეზე, მათზე ზრუნვაზე. გამდლისწყაროს (ძვ. წ. 1 ს.) განძში არის ფარეხი, კარავი და სხვა მესაქონლეობის დამადასტურებელი ნიშნები. ძალზე ხშირია შემთხვევები ცხოველების სადგომების ადგილებზე შემდგომში სოფლების გაშენებისა.

ცხოველების გამოსახულებები ბევრგანაა. ბრილის სამაროვანში (XVIII-XIV საუკ.) აღმოჩენილია ვერძის, ძაღლის, გველის; მხედრისა და ცხენიანი ეტლის ქანდაკებები, ასევე შალის ქსოვილის ნაშთები. მომთაბარეობის სიმბოლოა გამოსახულება ვერძისა და

ვერძისთავა ფრინველის ტანით; ბრინჯაოს ქანდაკებები მწყემსებისა და მეცხვარე ძაღლების გამოსახულებით. სამარხებში ხშირია ცხენების აღმოჩენა, საკულტო დეკორში ცხენების ორნამენტიზებული გამოსახულებები, ასევე ლაგმების სიუხვე; რაც ადასტურებს მეცხენეობის განვითარებას და ტრადიციას. საუკეთესო აბორიგენული ჯიშის ცხენი ექსპორტის საგანს წარმოადგენდა. კოლხური ცხვრის განსაკუთრებულობას უკავშირდება „ოქროს საწმისის“ მითის ერთერთი ვარიანტი. მთიელთა შემოქმედებითი ძიებით მოხდა ჩამოყალიბება მთის ჯიშის ძროხისა, რომელიც ბარის ჯიშთან შედარებით უფრო კარგად ეგუება მაღალმთიან რელიეფს, დადიდად ამტანია.

ამგვარად აღნიშნული მოკლე ისტორიული ექსკურსი თვალნათლივ ადასტურებს საქართველოში მეცხოველეობის განვითარებას, უძველესი ხანიდან - კაცობრიობის ცივილიზაციის გარიჟრაჟიდან; პირუტყვის- ჩვენი მარჩენალის კულტს, მისი მოვლა-შენახვის, კვების, მკურნალობის დიდ ტრადიციას

საკვანძო სიტყვები: საქართველოს ისტორია, მეცხოველეობა, არტეფაქტები, პალეოლითი, ნეოლითი, ადრე ბრინჯაო, ენდემური ჯიშები, მეცხოველეობის ისტორია, არქეოლოგიური გათხრები, სამეურნეო საქმიანობა.

საქართველოს ტერიტორიაზე პრეისტორიული ეპოქიდან კაცობრიობის ცივილიზაციის არსებობა მრავალი მეცნიერული წყაროებით არის დასაბუთებული. უძველესი დროიდან ადამიანთა ცხოვრების ფაქტს ადასტურებს დმანისში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები; აქ აღმოჩენილი ადამიანის ჩონჩხის ფრაგმენტები უძველესია მთელს ევრაზიაში, ასაკი 1 800 000 წელს შეადგენს!! ძველი წელთაღრიცხვის II ათასაწლეულში მდ. ჭოროხის აუზში იქმნება ქართველების პირველი პოლიტიკური გაერთიანება დიაოხი და კოლხა. მათ რამდენიმე საუკუნე იარსებეს, ვინაიდან ისინი დაამხეს ჩრდილოეთიდან შემოჭრილმა მომთაბარე ტომებმა. ძვ. წ. VI საუკუნეში ჩამოყალიბდა ეგრისის ანუ კოლხეთის სამეფო, რომელიც თითქმის მთლიანად აერთიანებდა დღევანდელ დასავლეთ საქართველოს. ძვ. წ. IV საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოში შეიქმნა იბერიის სამეფო. იბერიის მეფეს ფარნავაზს უკავშირდება მსოფლიოში უძველესი ქართული დამწერლობის შექმნა. ძვ. წ-ს ბოლოს რომის იმპერიამ დაიპყრო ეგრისის სამეფო, მისი დასუსტების შემდეგ იბერია სპარსეთის გავლენის ქვეშ ექცევა. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ოთხი სამთავრო ყალიბდება: ლაზების, აფშილების, აბაზგებისა და სანიგების. განსაკუთრებით გაძლიერდა ლაზთა სამთავრო, რომელმაც დაიქვემდებარა დანარჩენი სამი და შეიქმნა ახალი სახელმწიფო ლაზიკა. ამას მოსდევს სხვადასხვა ისტორიული ეპოქები, რომელთა პერიპეტიებში წიაღსვლები სცილდება ჩვენი კვლევების მიზანს, ფაქტი ერთია- საქართვეოს ტერიტორიაზე უხსოვარი დროიდან ცხოვრობდა ადამიანი და ეწეოდა სამეურნეო საქმიანობას [3, 4, 7, 8].

ქართველების წინაპრების პირველყოფითი სამეურნეო საქმიანობის ერთერთი მთავარი დარგი მემცენარეობასთან ერთად მეცხოველეობა ყოფილა, რომლის განვითარების საწყისები ჩვენი ცივილიზაციის გარიჟრაჟზე ჩაისახა. ქვის ხანის უძველესი ეტაპიდან გვხვდება ადამიანის ცხოველებთან დამოკიდებულების მიმანიშნებელი ფაქტები. ამ ხნიდანვე მოიპოვება პირველყოფილი მეურნეობის ნიშნები- ესაა ნადირობა, ცხოველების შეგროვება როგორც დაჭრილი ასევე დაჭერილი ნადირების და ფრინველების; ამის პარალელურად ხდება ასეთი ცხოველების მოთვინიერება-მოშინაურება, მათზე მზრუნველობა- კვება, მკურნალობის ელემენტარული ხერხების გააზრება და გამოყენება, გარკვეული ქცევითი და პროდუქტიული თავისებურებების გაუმჯობესება- უმარტივესი სელექცია. ბუნებრივია ამ პროცესებს დასჭირდა არა ერთი ასეული წელიწადი, რასაც ქართველი ადამიანი დიდი რუდუნებითა და სიყვარულით ეწეოდა. საქართველოში ოდითგან არსებობდა ცხოველებზე მზუნველობის ტრადიცია-კულტი. ჩვენამდე მოაღწია ცხოველების, მათზე ნადირობისა და სხვა სცენების ნახატებმა, კლდეზე, გამოქვაბულებში , მაგალითად თრიალეთის პეტროგლიფები [1, 3, 4].

არქეოლოგიური მასალა-არტეფაქტები საკმაო საფუძველს ქმნის მოცემული მიმართულებით კვლევების შედეგების უტყუარობისათვის. ზედა პალეოლითის პერიოდის გვარჯილის კლდეში წარმოებული კვლევებით მოპოვებულია სხვადასხვა ცხოველების ძვლები და ძვლისგან დამზადებული სანადირო თუ ყოფითი დანიშნულების ნივთები; განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ძვლისგან გამოკვეთილი „მეთაურის კვერთხი“. უამრავი ასეთი არტეფაქტები გვაქვს, მაგალითად ხარაგაულთან, სოფ ლაშეს ზევით -დევის ხვრელის (ზედა პალეოლითი- 50-40 ათასი წლის წინ) და საკაჟიას (თერჯოლა, სოფ გოდოგანთან) უძველეს გამოქვაბულებში მოპოვებულია რქისა და ძვლის იარაღები. ამ უძველეს ფენებში ნაპოვნია მღვიმური დათვის, მარტორქის, ლოსის, კეთილშობილი ირმის, ბიზონის, კავკასიური ჯიხვის, ტახისა და სხვა ცხოველთა ძვლები. აქვე აღმოჩნდა ნეანდერტალელი ადამიანის ზედა ყბის ფრაგმენტი და კბილები. აღნიშნული მასალა შუა და გვიანდელი მუსტიეს (შუა პალეოლითი) ხანით თარიღდება [1, 3, 5].

შემდგომ პერიოდში - ნეოლითიდან უკვე მოიპოვება მოშინაურებული ღორის ნაშთები, რაც იმას ადასტურებს თუ როგორი წინსვლაა ცხოველების მოთვინიერების, მოშინაურების, ე.წ. სელექციის მხრივ. მეცნიერების ვარაუდით ღორი ითვლება ძაღლის შემდგომ მეორე მოშინაურებული ცხოველის სახედ. ძვ.წ.ა.მეოთხე-მესამე ათასწლ. არტეფაქტები წოდებული, როგორც მტკვარ-არაქსის კულტურა, უხვად მოიცავს თიხის ჭურჭელს, რელიეფური ორნამენტებით. ისინი მეცნიერების მიერ მიჩნეულია სარძევე ჭურჭლად. ჩვენში პალეოლითის პერიოდიდან მოყოლებული ადამიანების საქმიანობაში, მეურნეობაში დიდი ადგილი ეკავა ნადირობას, ცხოველების შეგროვებას, შენახვას, მეთევზეობას. ხდებოდა ტყავეულის დამუშავება და გამოყენება შესამოსად, რის დამადასტურებელიცაა ძვლოვანი მასალისგან დამზადებული ტყავეულის

დასამუშავებელი ხელსაწყო-იარაღები, ესოდენ უხვად მოძიებული. ადამიანების ჯგუფებს შორის ხშირია ბრძოლები მეცხოველეობის ნადავლის მოპოვება-მითვისების მიზნით [1, 2, 3].

ისტორიულად აღიარებული ფაქტია, რომ ახალი ქვის ხანიდან- ნეოლითიდან მიმთვისებლური მეურნეობა იცვლება მწარმოებლურით. ისახება მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ორგანიზების ელემენტები, ჩნდება სოფლის ტიპის დასახლებები. მიწათმოქმედება განაპირობებდა მესაქონლეობის განვითარებას. თავის მხრივ მეხცოველეობა გამწევი ძალით აიოლებდა მიწის დამუშავებას და იძლეოდა დამატებით პროდუქციას. ასეთი პროგრესის ფაქტები უხვად მოიპოვება, განსაკუთრებით ქვემო ქართლის დაბლობზე. მეოთხე-მესამე ათასწლეულებიდან აღმოჩენილია ხარის, ცხვრის, თხის, ღორის ძვლოვანი მასალა. მოპოვებული თიხის მომცრო ფიგურების- სარძეო ჭურჭლების სიუხვე უკავშირდება ნახევრადნაზმატყლიანი ცხიმკუდიანი ცხვრის არსებობას. ეს მიუთითებს სახელგანთქმული ქართული ენდემური ცხვრის ჯიშის ჩამოყალიბების უადრეს საწყისებს. მრავლადაა აღმოჩენილი ეტლის ბორბლები, ხოლო წაკლაში მიკვლეული ურმის ნაშთი პირუტყვის გამწევ ძალად გამოყენების ნიშანია.

ამ დროიდან ხდება თრიალეთის კულტურის ჩასახვა-განვითარება. თრიალეთის კულტურა უკავშირდება ეკონომიკურად დაწინაურებულ მესაქონლე-მიწათმოქმედ ტომებს, რომელთა განვითარებას ხელს უწყობდა სამხრეთ საქართველოს ბუნებრივი პირობები. თრიალეთის კულტურა მტკვარ-არაქსის კულტურის მემკვიდრეა და მის ძეგლებად ითვლება უმთავრესად ყორღანული სამარხების (გორასამარხების) კულტურა. მათი ნაწილი ადრებრინჯაოს ხანის დასასრულით - ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლო საუკუნეებით თარიღდება, ნაწილი კი შუა ბრინჯაოს ხანით - ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრით. წალკასა და სხვა ლოკაციებზე გათხრების შედეგად მოპოვებულია მრავალი არტეფაქტი- გორა სამარხები. ასეთ სამარხებში აღმოჩენილი მიცვალებულების ნეშტი ხშირად დასაკრძალავ ოთხთვალა ეტლზე ესვენა. სხვადასხვა ნივთებთან ერთად ატანდნენ დაკლულ საქონელაც. ცხენების სიუხვესა და ზოგადად მეცხენეობის ფართოდ განვითარებას ადასტურებს ბრინჯაოს ლაგმების სიუხვე მეორე ათასწლეულიდან- გვიან ბრინჯაოს ხანაში [1, 2, 5].

ხოვლეში (ხოვლე გორა - ძვ.წ. მეცხრე- მერვე საუკ. გვიან ბრინჯაო-ადრინდელი რკინის ხანა) აღმოჩენილია უძველესი ტიპის ბოსლის ნაშთები; პალეოლითიდან მოყოლებული ასევე გვხვდება ურმის თვალი, სადღვებელი, სარძევე ჭურჭლის სიუხვე. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ადასტურებს მესაქონლეობის დარგის კარგად წარმართვა - ორგანიზებას, რაც შეუძლებელი იყო თუნდაც მოვლა-შენახვის ელემენტარული სანიტარიული ჩვევების გარეშე. აქვე უნდა აღინიშნოს საკულტო ნაგებობები, კერძოდ მათი შემკულობა - დეკორი. აღსანიშნავია ხოვლეს საკურთხეველი, რომელიც უმეტეს შემთხვევაში (სვეტის თავები) თიხის ვერძის თავის ქანდაკებითაა შემკული. არქიტექტურული გაფორმების მიზნით ხშირად გამოიყენება ხარისა და ვერძის თავებიანი გამოსახულებები- ქვის, ხის, ძვირფასი ლითონებით დამშვენებული [2, 3, 5].

ცხოველების სკულპტურული გამოსახულებები ბევრგან გვხვდება, მაგალითად ბრილის სამაროვანში (ონი, სოფ. ღებთან, ძვ. წ. XVIII-XIV საუკ.) აღმოჩენილია ცხოველების ქანდაკებები - ვერძის, ძაღლის, გველის; მხედრისა და ცხენიანი ეტლის ქანდაკებები, ასევე შალის ქსოვილის ნაშთები. ცალკე აღნიშვნის ღირსია გამოსახულება, რომელიც წარმოადგენს ვერძისა და ვერძისთავა ფრინველის ტანს. ეს ფანტაზიური სინთეზი აიხსნება როგორც მომთაბარეობის სიმბოლო - ოსტატს სურს, რომ ცხოველების გადარეკისას ხიფათით აღსავსე გზა საზაფხულო და საზამთრო საძოვრებს შორის მწყემსებისათვის უვნებელი იყოს. ეს სურვილი უფრო მკაფიოდაა გამოხატული სხვა საგანში, ესაა ცული რომელიც გაფორმებულია განსაკუთრებული მხატვრულობით, კერძოდ აქ შერწყმულია ვერძისთავი, ფრთები, ცული და მზე, ანუ ყველა ის ელემენტი რაც აუცილებელია გზის უვნებლად გასავლელად .

ბრილისა და თლიას (გვ. ბრინჯაოსა და ადრ. რკინის ხანის (ძვ. წ. XII—VII სს.) არქეოლოგიური ძეგლი სოფ. თლია, ჯავა) გვიანბრინჯაოს პერიოდის არტეფაქტების მნიშვნელოვანი ნაწილი შემკულია ცხოველური - ირმის, ცხენის, ძაღლის, გველის, თევზის ელემენტებით. ბრინჯაოს ქანდაკებები მოიცავს მწყემსებისა და მეცხვარე ძაღლების გამოსახულებას. მსგავსი არტეფაქტი გვხვდება გამდლისწყაროში (გამდლისწყარო ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო – I ათასწლეულის დასაწყისი); ესაა ბრინჯაოს მცირე ზომის უნიკალური ქანდაკება, რომელიც ცხვრის კულტთან და ნაყოფიერების ღვთაებასთან დაკავშირებულ რიტუალურ სცენას გამოხატავს (ფარეხი, ცხვრის ფარა, მეცხვარის ძაღლები, ორფერდა კარავი, სამსხვერპლო, მწყემსები, სარიტუალო ნივთები და სხვ.). ქანდაკება მოწმობს აგრეთვე მეცხვარეობის სამეურნეო მნიშვნელობას [2, 4, 7].

ასევე გვიანბრინჯაო-ადრე რკინის ხანაში (ძვ. წ. XV-VI სს) თრელიგორები ყველაზე დიდი დასახლება იყო კავკასიაში. თრელის სამაროვნის გვიანბრინჯაოს ხანის სამარხთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ძვ. წ. XIII ს-ის წარჩინებული მეომრის სამარხი, სადაც აღმოჩნდა ბრინჯაოს აბზინდა ცხენზე ამხედრებული მამაკაცის გამოსახულებით. ეს მხედრის უადრესი გამოსახულებაა კავკასიაში [1, 3, 4]. ადრეული პერიოდის საქართველოში მერძეული მესაქონლეობის განვითარების არტეფაქტებში უხვადაა რძის შესანახი სხვადასხვაგვარი ჭურჭლები, სადღვებელი და სხვა. სამარხებში ხშირია ცხენების აღმოჩენა, საკულტო დეკორში ცხენების ორნამენტიზებული გამოსახულებები, ასევე ლაგმების სიუხვე. ყოველივე ეს ადასტურებს მეცხენეობის განვითარებას და ტრადიციას. ამისვე დასტურია კოლხეთში გავრცელებული „გაცხენების“ მისტერიული რიტუალი - ფაქტი ცხენის კულტისა. ეს ჩვეულება კარგად აქვს აღწერილი უდიდეს ქართველ მწერალს კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცებაში“. საქართველოში უძველესი დროიდან იყო მოშენებული საუკეთესო აბორიგენული ჯიშის ცხენი, რომელიც ექსპორტის საგანს წარმოადგენდა.

ძვ. წ. VI -IV ათასწლეულების ნასოფლარებში საცხოვრეებელი კომპლექსი მოიცავდა როგორც ძირითად საცხოვრებელს, ასევე მიმდებარედ დამხმარე სამეურნეო ნაგებობებს,

რაც მიგვანიშნებს მოშენებული პირუტყვის სიმრავლესა და მათზე მზრუნველობაზე, მოვლა-შენახვის პირობების დაცვაზე. დასახლებებში იყო საკულტო-რელიგიური სენაკები სადაც ხდებოდა მსხვერპლშეწირვა უმეტესად ხარებისა და ცხვრებისა, უპირატესობა ენიჭებოდა თეთრ ხარს. ნაყოფიერების სიმბოლოს წარმოადგენდა შავი თხა [1, 3]. საქართველოში მთის მოსახლეობის საქმიანობა გვიანბრინჯაოს ხანაში წარმოუდგენელელია განვიხილოთ მეცხოველეობის, განსაკუთრებით მეცხვარეობის განვითარების გარეშე. ადრიდანვე ეს დარგი ვითარდებოდა მომთაბარული ხერხით. ახალი

წელთაღრიცხვიდან უფრო მძლავრად ხდება ამ დარგის განვითარება, მყარდება ეკონომიკური კავშირურთიერთობები მთასა და ბარს შორის, რაც განაპირობებს სეზონური საძოვრების მონაცვლეობით რაციონალურ გამოყენებას. მთის მოსახლეობა უპირატესობას კვლავაც მეცხოველეობას ანიჭებდა, ბარში კი სჭარბობდა მემცენარეობის დარგი. საზოგადოდ ქართველი ფეოდალის მეურნეობის ქვაკუთხედს საქონლის ჯოგი, ცხვრის ფარა წარმოადგენდა. ქვეყნის მიღმაც იყო განთქმული ქართული აბორიგენური ჯიშების ზნეკეთილობა, ამტანობა, პროდუქტიულობა. აქაური ცხვარი გამოირჩეოდა მაღალპროდუქტიულობითაც და მრავალნაყოფიერებითაც. კოლხური ცხვრის განსაკუთრებულობას უკავშირდება ოქროს საწმისის მითის ერთერთი ვარიანტი. აქაური მატყლი ექსპორტის საგანს წარმოადგენდა. უცხოელი მოგზაური, გეოგრაფი და ისტორიკოსი სტრაბონი ძვ. წ. 64-24 წწ. აღწერს დედამიწის სხვა ნაწილებთან ერთად სამხრეთ ნაწილს - იბერიას და მიუთითებს საქართველოს მთიანეთში მესაქონლეობის მაღალგანვითარებაზე [6].

სოფლის მეურნეობის ძირითად მწარმოებელს ქართველ ყმა-გლეხობა ას პირუტყვისთვის ყოვლისგამომხატველი სახელი - მარჩენალი შეურქმევია. ძველთაგანვე ქართველები შეხვედრისთანავე პირველრიგში „საყოლს“- მარჩენალ ცხვარ-ძროხას მოიკითხავდა. ასეევე ტრადიციისამებრ მთაში ახლაც მიღებულია „ცხვარ-მეცხვარის“ გამორჩეული ლოცვა-სადღეგრძელო. მწყემსობის დაფასების, პოპულარობის ფაქტია უძველეს სასაფლაოზე მწყემსის საფლავის ქვის გამორჩეულობა, სტილიზებური ორნამენტები და სილამაზე. რაც შეეხება ცხოველის სადგომს - სიტყვა ბოსელი ამავე დროს წარმართული ნაყოფიერების კულტის სახელიცაა- ბასილა, ბოსლა.თავად სიტყვა „ცხოვრება“ წარმოდგება „ცხოვარ- ცხვარ“ ძირისგან [4, 5, 7]. ანტიკურ ეპოქაში, საერთო პროგრესის კვალობაზე მეცხოველეობის დარგის წინსვლა-განვითარებაა. ამას ხელს უწყობდა დიდი გამოცდილების დაგროვება, მწყემსური ალღო და თვით ბუნებრივი პირობების რაციონალური გამოყენება, იმხანად არარსებული ეკოლოგიური ცოდნის ხალხური საწყისები, წესები და ლიმიტები. მკაცრ ბუნებრივ პირობებს უნივერსალურად მიესადაგნენ ჩვენში ასწლეულების განმავლობაში გამოყვანილი უნიკალური გენოფონდის წარმომადგენლები. კავკასიელ მთიელთა შემოქმედებითი ძიებით, გმირობითა და სიმამაცით მოხდა ჩამოყალიბება მთის ჯიშის ძროხისა, რომელიც ბარის ჯიშთან შედარებით უფრო მომცროა, მაგრამ ამტანი, ადაპტირებული ისეთი

გარემოსადმი, სადაც ვერ ხერხდება სხვა მაღალპროდუქტიული ჯიშების მოშენება, შეუცვლელიო ენდემია. კარგი მოვლა-შენახვისა და კვების პირობებში იძლევა თითქმის იმდენს, რამდენსაც პროდუქტიული ნახირი. ლიტერატურაში გვხვდება ცალკეული სახელწოდებები ამ ჯიშისა: ხევსურული, ფშაური, ბალყარული, ასევე თუშური და ყარაჩაული ცხვარი, რაც უკავშირდება იმ ეთნიკურ წრეს, სადაც ხდებოდა მათი მოშენება. აღსანიშნავია დასავლეთ საქართველოს ენდემები გამორჩეული კვარაცხელიას ძროხა და იმერული ცხვარი, ასევე ფრინველების ენდემები, ქათმის, ინდაურის, იხვის, ბატის [6].

ფეოდალურ ეპოქაში საერთო წინსვლის კვალობაზე აღინიშნება სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უმთავრესი დარგის მეცხოველეობის განვითარება, იზრდება პირუტყვის სულადობა, პროდუქტიული მახასიათებლები. არსებობს სხვადასხვა ისტორიული მასალა, როგორც ქართული, ასევე უცხოური, რაც ამტკიცებს ზემოთხსენებულ მოცემულობას. ერთ-ერთი ასეთია მეცხრე საუკუნის არაბული წყარო, რომლის მიხედვითაც არაბი სარდლის იბნ-იაზიდია ლაშქრობისას დამარცხებული კახეთის სამთავრო კონტრიბუციას იხდის 8000 ცხენითა და 20000 ცხვრით. აგრეთვე სამხრეთ-დასავლეთში მესაქონლეობის მაღალგანვითარებას ადასტურებს ბასილი ზარზმელის (მეცხრე-მეათე საუკუნის ქართველი მწერალი და საეკლესიო მოღვაწე) ცნობა, რომელიც შეეხება გიორგი ჩორჩანელის, ზარზმის დიდი ფეოდალის - დიდი მთავრის მეურნეობას. უმემკვიდრეოდ და უოჯახოდ დარჩენილმა დასა და დისშვილებს დაუტოვა თავისი უძრავ-მოძრავი ქონება, მათ შორის „საქონელი მრავალფეხა, სიმრავლე სახედართა და მროწლეულთა“ (მროწლე- ნახირი) [1, 3, 7].

საქართველოს მთიანეთში მეცხოველეობა ალპური ხასიათისა იყო, ასეა დღესაც. საქონლის გადაადგილება ხდებოდა ვერტიკალური ზონალობით, მტკიცედ შემუშავებული და ხანგრძლივად აპრობირებული პრინციპების დაცვით. ხდებოდა ასევე ჰორიზონტალური მონაცვლეობაც. უფრო ლოკალურ არეალებში ხდებოდა ხეობის დაყოფა მზიან- „მზორე“ და ჩრდილოვან მხარეებად. ეს მხარეები განსხვავდებოდა ბალახნარის და აქედან გამომდინარე მიღებული რძის პროდუქტების თვისებებით, ხარისხით. ასეთ პირობებში გამოიყენებოდა მეურნეობის ე.წ. „ორხელაობის“ პრინციპი. იგი მოიცავდა სამეურნეო ბაზების ორგანიზებას როგორც ბარში, ასევე მთისწინა ბარის ზონაში - ე.წ.“საწუელი“. მომთაბარეობა მოიცავდა ფართო მასშტაბებსაც.

უძველეს ქართულ საისტორიო ძეგლში „ქართლის ცხოვრებაში“ კერძოდ მოქცევაი ქარლისაში, მოციქულთა სწორი წმინდა ნინო თავფარავნის ტბასთან ხვდება მწყემსებს, რომლებიც მცხეთიდან არიან ამოსული. მაშასადამე იმ ხანად- მეოთხე საუკუნეში საქართველოს კუთხეებს შორის არსებულა განვითარებული კავშირები და ურთიერთთანამშრომლობა, რაც კარგი ფონი- მოტივაცია ყოფილა მომთაბარული მეცხოველეობისათვის [5, 7].

ისტორიულად ალპური მეცხოველეობა წარმოდგენილი იყო ვერტიკალური ზონალობის ჭრილში. ვერტიკალური ზონალობის ორგანიზება მოიცავდა ტერიტორიის

დიფერენცირებას სამ ძირითად ზონად. ამ დანაწილებას საფუძვლად ედო ლანშაფტურ- და ზოო-გეოეკოლოგიური ასპექტები. პრაქტიკულად ეს ხდებოდა ერთი შეხედვით მარტივად, მაგრამ საოცრად გონივრულად როგორც ეკოლოგიური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით, დასახლების მიმდებარედ დაბალი- პირველი ზონა ეთმობობა მერძეულ საქონელს- მეწველს; შემდეგ - უფრო შემაღლებული რელიეფი - მშრალსა და მოზარდეულს, მესამე ზედა ზონა გამიზნული იყო ცხვრისათვის. იალაღები იწყებოდა სუბალპური ზონიდან და მიემართებოდა ზევით ზღვის დონიდან 3 000 მ სიმაღლემდე.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ცხოველზე ზრუნვისა და მოვლა-შენახვის დიდი ტრადიცია . ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მრავალ უცხო ტომს ველურად ცხოვრებით გაჰქონდა თავი, ჩვენში, ბრინჯაოს ხანაში ცხოველებს სპეციალურ სადგომში - ბოსელში ინახავდნენ, ხოვლეს არტეფაქტი. ხოვლეს ბოსელი სქემატურად კარგადაა დაგეგმარებული, გააზრებული დეტალებითა და მოწყობით გამოირჩევა. აქვე მივუბრუნდებოდით გამდლისწყაროს ფარეხის გამოსახულებას. ადამიანის საცხოვრებელ კომპლექსში მთავარი ადგილი განეკუთვნებოდა პირუტყვის სადგომსა და ცხოველური პოდუქტების მისაღებ, გადასამუშავებელ და შესანახ სათავსოებს. ეს ტრადიცია დღემდეა შემორჩენილი, მაგალითად ხევსურული სახლის სათავსო- „სენე“. მას დიდი მნიშვნელობა ქონდა საცხოვრებელ კომპლექსში, რაც ადასტურებს ხევში, ხევსურეთში და სხვაგან, ზოგადად საქართველოს მთიანეთში, მესაქონლეობის დიდ ტრადიციას. გადმოცემის თანახმად სენე განსაკუთრებული მოვლის, სისუფთავის ადგილი იყო, იმდენად მნიშვნელოვანი, რომ აქ ოჯახის დიასახლისი ინახავდა ძვირფასეულობას და შემოსვლა მის გარდა შეეძლო მხოლოდ უფროს რძალს.

საქართველოში ხშირი იყო შემთხვევები ცხოველებისათვის განკუთვნილი ადგილების, ბაკ-საჩიხეების, ბოცლების ადგილებზე სოფლების გაშენებისა, ამ მხრივ ტოპონიმების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ისტორიულად საქართველოს ბევრ კუთხეში ადამიანის საცხოვრებელს უშუალოდ ემიჯნებიდა ცხოველების სადგომი. განსაკუთრებით გამოირჩევა სვანური მაჩუბის გაფორმება-დიზაინი. ამის მიზეზი იყო სხვადასხვა გარემოებები: ზამთრის ცივი კლიმატი, ტომობრივ-გვაროვნული თავდასხმები; მაგრამ უნდა ითქვას, რომ საქონლის სადგომის უშუალო სიახლოვე ადამიანის სამყოფელთან მესაქონლეობის მაღალი კულტურის, ჩვენი წინაპრის მიერ პირუტყვის იგავმიუწვდომელი სიყვარულის გამოძახილია და არამც და არამც ხალხის დაბალი სანიტარული კულტურა-ცივილიზაციისა.

ყოველივე აღნიშნულთან ერთად მოკლედ უნდა აღინიშნოს პირუტყვის მოვლა-შენახვის განუყოფელი ნაწილის - მკურნალობის ჩვევებზედაც. როგორც ირკვევა მათ საკმაოდ საფუძვლიანავ ფლობდნენ იმჟამინდელი მეჯოგეები. მკურნალობის უმარტივესი ელემენტები ცხოველების მოშინაურებისთანავე ჩასახულა. კარაბადინების სახით ჩვენში ასეთი წერილობითი ძეგლები გვიანდელი პერიოდისაა. ვეტერინარული ხელნაწერი წიგნები საქართველოში XVII საუკუნიდან გვხვდება. მათ შექმნაში, თარგმნაში დიდი წვლილი მიუძღვის ვახტანგ VI-ს, გიორგი XII-ის შვილებს – იოანე და ბაგრატ

ბატონიშვილებს. ცხენის, ძაღლის და ფრინველთა კარაბადინების შემცველი ხელნაწერები ქართული კალიგრაფიისა და წიგნის კულტურის თვალსაჩინო ნიმუშებს წარმოადგენენ. ეს მცირე ისტორიული მასალა ადასტურებს განვითარებული მეცხოველეობის ქვეყანაში სამკურნალო ჩვევებისა და ხერხების ასევე მაღალ დონესა და პროფესიონალიზმს. სავარაუდოდ უთუოდ იქნებოდა ადრეული პერიოდის მასალებიც, მაგრამ ჩვენი ბედუკუღმართი პერიპეტიების ქარ-ცეცხლში უკვალოდ შთაინთქა.

ამგვარად ზემოთ მოყვანილი მოკლე ისტორიული ექსკურსი თვალნათლივ ადასტურებს საქართველოში მეცხოველეობის გაღალგანვითარებას, უძველესი ხანიდან- კაცობრიობის ცივილიზაციის გარიჟრაჟიდან, პირუტყვის - ჩვენი მარჩენალის კულტს, მისი მოვლა-შენახვის, კვების, მკურნალობის დიდ ტრადიციას. ყოველივე ეს დიდ საფუძველს - მოტივაციას იძლევა აღვადგინოთ სიმრავლე და ზნეკეთილობა ჩვენი ცხვარ-ძროხისა, ფურ-კამეჩისა, მროწლესა და კოლტისა, ქართლოსიანთა ეს განუყოფელი დოვლათი და ფენომენი.

ლიტერატურა:

1. ს. ჯანაშია. საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, _ შრომები, ტ. I, თბ., 1949, გვ.178- 210;
2. მუსხელიშვილი დ., ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა, თბ., 1978. გვ.42-59;
3. ნ. ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968, გვ. 12-24;
4. ივანე ჯავახიშვილი „თხზულებანი თორმეტ ტომად“, ტ. I, თბილისი 1979, გვ.47-81;
5. ქართლის ცხოვრება, რ. მეტრეველის რედაქციით, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბ., 2008. გვ. 27-54;
6. გ. გოგოლი, სასოფლო-სამეურნეო და შინაურ ცხოველთა ბიომრავალფეროვნება საქართველოში. სამეცნიერო შრომათა კრებული: „მეცხოველეობის ბიოლოგიური საფუძვლების თანამედროვე პრობლემები“, თბილისი, ტ. 4 (5), 2009; ნ
7. საქართველოს ისტორია, ტომი 1. თბილისი, 2012 წ. გვ 128-140;
8. Vekua Abesalom et al. (Jul 2002). "A new skull of early Homo from Dmanisi, Georgia". Science 297 (5578): 85–9. doi:10.1126/science.1072953. ISSN 0036-8075. PMID 12098694;
9. Lordkipanidze David et al. (20 September 2007). "Postcranial evidence from early Homo from Dmanisi, Georgia". Nature 449 (7160): 305–310. doi:10.1038/nature06134. PMID 17882214;

History of Animal Husbandry in Georgia - Origins, Formation, Development from Prehistory to Modernity

Koba Mikadze - European University Ltd, Associate Professor

mikadze.koba@eu.edu.ge

Maia Kereselidze - European University Ltd, Professor

maia.kereselidze@eu.edu.ge

(+995) 591 195 115

Rusudan Uridia - European University Ltd, Associate Professor

rusudan.uridia@eu.edu.ge

Orcidhttps://orcid.org/0009-0002-0685-2813

Shota Nebieridze - European University Ltd, Associate Professor

nebieridze.shota@eu.edu.ge

Marika Bokuchava - European University Ltd, Assistant Professor

marika.bokuchava@eu.edu.ge

Abstract

Livestock husbandry represents one of the earliest and most enduring forms of economic activity among the Georgian people. Archaeological and paleoenvironmental evidence indicates that the domestication and systematic management of animals began in prehistoric times, with roots extending back to the Paleolithic period. Material evidence supporting early animal domestication has been recovered from numerous archaeological sites.

From the Neolithic period onward, significant transformations in subsistence strategies are observed. Animals were increasingly employed as draft power, facilitating agricultural intensification. Cultic architecture was also enriched with animal symbolism, including bull-headed figurines and decorated altar elements, such as pillar capitals discovered at Khovle and related sites.The advancement of dairy husbandry is confirmed by the abundance and diversity of milk-processing and storage vessels, including churns and specialized containers. Notably, many later settlements were established on sites originally used as animal enclosures, suggesting long-term continuity in land use.

Animal imagery is widely attested in the archaeological record. At the Brili burial ground (18th–14th centuries BC), sculptures depicting rams, dogs, snakes, riders, and horse-drawn chariots have been uncovered, alongside remains of woolen textiles. Bronze figurines representing shepherds and sheepdogs, as well as composite symbolic forms, reflect the cultural and ideological

importance of pastoralism and nomadic traditions. Indigenous horse breeds of exceptional quality constituted valuable export commodities in antiquity.The distinctive characteristics of the Colchian sheep are reflected in one interpretative version of the myth of the Golden Fleece, linking animal husbandry with broader cultural and mythological narratives. Moreover, adaptive breeding practices in mountainous regions led to the formation of resilient cattle breeds capable of thriving in high-altitude environments, demonstrating early knowledge of selective breeding and environmental adaptation.

In conclusion, this overview highlights the continuous and dynamic development of livestock husbandry in Georgia from the earliest stages of human civilization. The archaeological record illustrates not only the economic significance of livestock but also its profound cultural, symbolic, and technological roles, supported by long-standing traditions of animal care, feeding practices, and proto-veterinary knowledge.

Keywords: History of Georgia, animal husbandry, artifacts, paleolithic, neolithic, Early Bronze Age, endemic breeds, history of animal husbandry, archaeological excavations, agricultural activities.